


საბუკი

გამოსვლის XXXVI წელი შანი 2 მან.

ნან. დ. კოსთავია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბრძანება №1001
 გადასინჯულ იქნას არსებული
 გეგმა და ნაცვლად ერთი ოპიექ-
 ცისა დაიწყეთ ათი ოპიექციის
 მშენებლობა.

მმართველი: *მკვირე*
 |თვითნებაძე|

„მშენებლობის გაჯიანურებას უმთავრესად იწვევს მრავალ მშენებლო-
 ბაში სახელმწიფო სახსრების დაქსაქსვის არსებული პრაქტიკა. ოლქების,
 მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოთა
 ზოგიერთი ხელმძღვანელი, ნაცვლად იმისა, რომ თავი მოუყაროს კაპიტა-
 ლურ დაბანდებას ასამუშავებელ ობიექტებზე, ცდილობს სახელმწიფო ზეგ-
 მებში შეიტანოს ახალი ობიექტების მშენებლობა“.

განცხადებები

წინდების საქსოვმა ფაბრიკამ გამოუშვა ქალის წინდების ახალი სერია. წინდები ხასიათდება შემდეგი საუკეთესო თვისებებით:

1. წინდა თხელია და გამჭვირვალე, გინდამც არ გეცვას.
 2. თუ მომხმარებელს იგი ოდნავ ვიწრო აქვს, წინდას იმავე წუთში უფარდება თვალი და ავტომატურად ფართოვდება.
 3. ჩაცმისთანავე იხევა, რაც დიდად მოსახერხებელია ჰიგიენის თვალსაზრისით; ეს გარემოება იწვევს წინდის რამდენიმეჯერ გამოცვლას დღეში.
 4. წინდა დევს სპეციალურ პარკში, რომლიდან მისი ამოღება ყოვლად დაუშვებელია წინდის სინაზის გამო. ამიტომ სასურველია წინდა პარკიდან ისე ამოიღო და ჩაიცვა, რომ ხელით არ შეეხო.
 5. არც ჩაცმაა რეკომენდებული, რადგან ეს უკანასკნელი იწვევს წინდის დახევას.
- ფაბრიკას, მხედველობაში იღებს რა წინდების ასეთ სიფაქიზეს, გადაწყვეტილი აქვს გამოუშვას ცარიელი პარკების მთელი სერია. წინდას მატნც ვერ ვხმარობთ და რად გვინდა.

წინდის ფასი დარჩება იგივე. გარანტია ერთი საათი. ქალებო, ისარგებლეთ თბილისური წინდების ფართო ასორტიმენტით. აბა თქვენ იცით!

„მანანას“ გამოსვლასთან დაკავშირებით მანანა, როგორც ნიჭიერი ბავშვი, გადაყვანილი იქნეს უგამოცდოდ შემდეგ კლასში, ხოლო ფილმის ავტორები გაგზავნილი იქნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, ხოლო, იქიდან დაბრუნებულებს, სისტემატურად დღეში სამჯერ ეჩვენათ მათივე გადაღებული ფილმი. ნახონ ერთი, როგორი საყურბელია.

ზამთრის სუსხის მოახლოებასთან დაკავშირებით დაევალოს თბილისის ყველა რაიონის სახლმმართველს თბილად მიიღოს გაყინული მოზინადრენი, დაახვედროს მათ გახურებული ღუმელები. საწვავ მასალად შეიძლება გამოყენებული იქნეს იმავე მოზინადრეთა განცხადებების უდიდესი მარაგი.

ტრამვაებით, ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით მოსარგებლე მოსახლეობის საყურადღებოდ! დღეიდან აღნიშნულ ტრანსპორტში გაუქმებულია ბილეთები, მათ ნაცვლად შემოდებულია თვალის ჩაპაჭუნება და ხელის მოჭერა. მგზავრობის ფასი იგივეა.

ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, საქართველოს ესტრადაზე მისი ხანგრძლივი და უკბილო მოღვაწეობის აღსანიშნავად როსტომ ყენიას ჩაესვას კბილები ფილარმონიის ხარჯზე და გადაეცეს პირად საკუთრებაში ყველა ესტრადა უფადოდ.



მაცთურ თვალებს ვაკვარკვალე,
კოსტაც ვიყავ და ყვარყვარეც,
მოსე მწერლად როცა ვიყავ,
ქვასა ხვრეტდა ჩემი სიტყვა,

ჩემს ხალხს რომ არ მოეწყინოს,
ვიხსენ სცენაც, ვიხსენ კინოც,
შემხედავ და იგულები,
ქვა ხარ რომ არ გაგეცინოს?

პაწაწინა მოთხრობები

შორი მგზავრობის ავტობუსი ხალხითა და ბარგით ისე იყო გაჭედილი, სუნთქვა აღარ შეიძლებოდა.

— ჩვენ უფლება გვაქვს დაგატოვებინოთ ავტობუსი, — უთხრა აღელვებულმა ბილეთოსანმა გათამამებულ უბილეთოს.

— კმ, ზოგი რამ შოფერსაც ჰკითხე, შენ უფრო ეპიტნავები თუ მე — უპასუხა მან.

ხმა აღარავის ამოუღია.

— : —

ტაქსმა 9 მან. და 30 კაბ. დანახარჯი დაწერა. მგზავრმა ათმანეთიანი გადააწოდა მძღოლს.

— ხომ არ ინებებთ, ხურდა გიბოძოთ! — დაძაბული ტონით უთხრა შეურაცხყოფილმა.

— : —

ბიჭმა თავსამტვრევი ამოცანა ამოხსნა და შესძახა:

— დედი, ამოვხსენ, პასუხად «2» მივიღე.

— დედა მოგიკვდეს, შვილო, მაგისთვის იწვალე! — უპასუხა მან.

— : —


ერთი ხალტურისტი ტრაბახობდა: დღეში ასი მანეთი თავისთავად მოდიოდა. — ჩემი მტერი დასვა დღეში ას მანეთზეო. — ჩაილაპარაკა მეორემ.



იაკინთე საუდელი
(ლისაშვილი)

ხვერდის სიტყვა გამოყვა,
ქვეშ არ ამოვდე მაუდის,
ბოლომდე უნდა გაყვანა,
როცა კაცს საქმე «მაუდის»,

მოვაბი რომანს რომანი,
დავაფინთიხე საუდი,
ჩემს მიმართვებსაც ხანდახან
საუდის სუნი აუდის.



ცოლი, ვისზე ნაკლები ვარ, რომ არ
მყავდეს. მყავს, მაგრამ თეატრებსა თუ
საზეიმო სხდომებზე რატომღაც მაინც
სულ კენტად დავდივარ... თუ მეუღ-
ლემ გაბედა და მისაყვედურა, ორ მოსა-
წვევს არ მაძლევენ და რა ჯანდაბა გიყო-
მეთქი, — ვეტყვი. იმანაც ჩემი ხასიათი
ხუთი თითივით იცის და, რომ არ ავჯა-
ჯლანდე, არაფერს მეუბნება. ასე ჯობია,
ცოლი ლაპარაკს თუ მიაჩვიე, ბრძა-
ნებს დაგიწყებს და თავზე დაგაჯდება.
ერთხელ მართლა მოვითხოვე ორი
მოსაწვევი, მაგრამ არ მომცეს, მერე

კარგად რომ დავუკვირდი, რომ მოე-
ცათ, რა თავში ვიხლიდი, მთელ სალა-
მოს ხომ არ წავიშვარებდი, ნაირნაირი
გოგონებისათვის სხვებს ემზირათ და
მე ჩემი ცოლისათვის მეცქირა? არა,
ძმაო, ჩვენი მღვდელი ასე არა წირავს.
თვალი სვამს და თვალი ჭამსო. ჰოდა,
თვალს რომ მომიშვიდეს, იმას კუჭის
მოშვიება მიჩვენებია, ოღონდ კარგი სა-
დილის წინ (უფრო მაღიანად ვიქნები,
თუმცა მაღას ისედაც მგლისას მიდა-
რებენ).

მე რომ ბედი მქონებოდა, პარიკმა-
ხერის სკამივით 360 გრადუსზე მოტ-
რიალე კისერი მექნებოდა, თორემ,
რჩეულ ქალთა საზოგადოებაში რომ
მოვხვდები, მერე მთელი ორი დღე
ნაღრძობივით მაქვს კისერი. ხუმრობა
ხომ არ არის, აქეთ მოატრიალე, იქით
მოატრიალე, ამას შეხედე, იმას გაუღი-
მე, ზოგს თავი დაუკარი, ზოგს ფრთო-
სანი ქათინაური ესროლე, ზოგი თვი-
თონ დაგიკრავს თავს, ზოგი არც კი
შემოგხედავს და ერთ-ორჯერ გაბრა-
ხებით ხომ უნდა გადახედო, და კიდევ
ვინ მოთვლის რამდენი რამ. მართალი
გითხრათ, გაყევილს გატეხილი ჯობია,
ეგ გასაწყვეტი ქალები ისე ძალიან მი-
ყვარს, რომ უმთაოდ ღმერთმა ორი
დღე ნუ მაცოცხლოს-მეთქი, ხშირად
მითქვამს. არა, მართლა კარგია ქალი
და განსაკუთრებით — კარგი ქალი.

ცოლი მორჩილია და, რომ არ გაარ-
თო, ხმა მაინც არ უნდა ამოიღოს,
მაგრამ ქმარი, რაც არ უნდა იყოს,
მაინც ქმარია, მეორე ნახევარზეც უნ-
და იზრუნოს რამენაირად და მეც, რო-
გორ გგონიათ, არ ვიზრუნე? ცოლი
რომ არ ამკიდებოდა და წარამარა კი-
ნოსა და თეატრში წაყვანა არ ეთხოვა,
ტელევიზორი შევიძინე, დაჯდეს და
უყუროს, გაერთოს, ცოდვას!..

ახლა გამოღმა შერჩენილ საყვედუ-
რებს ვისმენდი მართო. «დღეს რა კარ-
გი გადაცემა იყო, ნეტავი გენახა», მე
კი, ღმერთმა უწყის, რომ არავითარ სა-
ნახაობას არ ვიკლებ, ყველაფერს პირ-
ველი წყაროებით ვნახულობ. რა ვქნა,
ასეთი მაქვს ხასიათი.

ზოგი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბა-
დებული, ყოველ ნაბიჯზე ალჩუ უჯდე-
ბა, არაფერს არ იკლებს, მაგრამ ცო-
ლი ერთხელაც არ საყვედურობს. მარ-
თალი გითხრათ, მეც ბედნიერ ვარსკვ-
ლავზე მეგონა ჩემი თავი დაბადებული
და ვიშვებოდი და ვიხარებდი, მაგრამ
ერთხელ ჩემს კმაყოფილებასაც ბოლო
მოელო და აი როგორ:

საზეიმო სხდომაზე მიმიწვიეს. აკუ-
რატული კაცი ვარ და ადრე მივედი,
ვისზე ნაკლები ვარ-მეთქი და პირველ
რიგში გამოვიქიმე. ჩემს მარცხნივ, ყო-
ველ შემთხვევისათვის, ერთი ადგილი
„დავიზანიატე“. თუ რომელიმე ცთომი-

ლი ვარსკვლავი მოგოგმანდა, გვერდით
მოვისვამ, თუ არა და, იქნებ ჩემსავე
როსმა, ან რომელიმე დიდმა კაცმა დაქოთნა
ავგიანოს და, ადგილს რომ შევთავაზებ,
იამება-მეთქი. რა დასაძრახია და წინ-
დახედული. კაცი ვარ, ალბათ ამიტომ
გამწიეს და წამწიეს სამსახურშიც.

მაღე დარბაზი ისე გაიქვდა, რომ
ნემსი კი ჩავარდებოდა, მაგრამ მახათის
რა მოგახსენოთ. დიდკაცებს არ დაუგ-
ვიანიათ. უადგილოდ წვრილფეხობა იყო
და მე ამათ აინუნშიაც არ ვავდებდი. უცებ
ერთი ყელმოღერებული ქალიშვილი და-
ვინახე, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.
დაილოცოს ნეილონის მომგონი, მთელი
სანუკვარი ნაკვეთი აშკარად მოუჩან-
და. შევხედე, შემომხედა, ჩემს გვერდით
„დაზანიატებულ“ სკამს გადავხედე,
იმანაც გადახედა, მიმიხვდა, მომიახ-
ლოვდა, თამამად მკითხა „ზანიატია“
თუ არაო, მეც შევებით ამოვისუნთქე
და, დაბრძანდით-მეთქი, შევთავაზე.
რის შესახებ იყო სხდომაზე ლაპარაკი,
მეც ისევე არ გამიგია, როგორც ცხრა-
მთის გაღალმელს, ბურანში ვიყავი,
სულ თვალეში შევციცინებდი ჩემს მე-
ზობელს, ისიც შიგადაშიგ მპასუხოდა,
რამდენიმეჯერ გამიღიმა და, ასე მგო-
ნია, არც მას გაუგია რის შესახებ იყო
სხდომაზე ლაპარაკი.

უცებ ანტრაქტი გამოცხადდა კონ-
ცერტის წინ. მე ჩემს ახალგაჯობილ
ანგელოსს ხელკავი გაფუკეთე და ფოი-
ესაკენ წავრბინდი. ო, ის სალამო!
პუშკინი რომ ვიყო, ალბათ იმ სალამოს
დავწერდი „Я видел чудное мгнове-
ние“-ს. ვცმუქავდი, ადგილზე ველარ
ვეტოდი, ცა და ქვეყანა ჩემი მეგონა,
კონცერტზე ვილაცები მღეროდნენ, ვი-
ლაცები ცეკვავდნენ, ლექსებს ამბობდ-
ნენ, — მოცლილები, მე მათ მოსასმენად
არცა მცხელოდა და არც მეცალა.

ჩემი ცოდვით სავსეებმა კონცერტი
მაღე დაასრულეს, ქალიშვილმა მად-
ლობა გადამიხადა და თვალსა და ხელს
შუა გამიქრა, გასასვლელთან ძლივს
მოგკარი თვალი, ვილაცა ბიჭისთვის
ხელკავი გაეკეთებინა და, ჰაიდა.

დავრჩი პირში ჩალაგამოვლებული,
არც სახელი მიკითხავს, არც მისამარ-
თი. გავაცილებ და მაშინ გავიგებ-მეთქი.
უგუნებოდ გავხდი და შინ წამოვ-
ლასლასდი.

ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო,
ისე გამომივიდა, ცოლი უჩვეულოდ გა-
ანჩხლებული დამიხვდა. — ახლა მივხვდი,
ვაებატონო, მართოდმართო რატომ
დაწანწალებო.

თურმე ტელევიზორში დარბაზიც უჩ-
ვენებიათ.

ესეც შენი ტელევიზორი!

ელზაჩარე ცოლად რომ შეირთო გურან-სტოპ, ახალდაქორწინებულებს ელზაჩარეს სიტყვების დროს ნაწერად სადაცინ მხვავს პატარა თანხა მოხდა ცხოვრების დაწყება. მწველ ელზაჩარ, რომ უფროთი თანხა ვერ დააქვერდა ახალდავა ცოლს. უან-ზღვრად შეუერთებულ ვერანდებებს ის იღონ-დაც ელზაჩარ ცოლად ვერბოდი და არც სიყვარულე მიანდა არავრად და არც შინ სიმახარეს ნადებოდი.

კინემატონი

— დახე ჩაიხედინ სახლი შენებდა, დაეკვი-რონ ერთი-ერთი მათგანი მინც არ გველისებენ ერთი თანხი—აწმედებდა ცოლი ქმარს.

მართლაც, ერთხელ სწოვლად მივდივარ და ელზაჩარე ახალდაქორწინებულს გამოქვამს მან და ერთხანს თანხის რაოდენობა ჩააბარებს.

სიტუაციით დაბრალდა ვერანდებები. სულ ხილვითა და კოსტიუმით დაავად ახალი თანხა ელზაჩარეს შეხედო ამისთვის. შედეგითი ერთხანს მანარტობდა მოფრთხვებულს.

ნეტაჩნ მისაბელი ხანმოკლე ვაჟივდა. ახალ ბანსუთ ცხოვრების ტექნიკის თანე სმასა-სურიადა დაგრბობდებო ქმარს გურანდელი-სიტყვებულად დახვდა.

— შენად ჩვენს მტვიზებლს... ხანმოკლე თანხის ცოლად უნდა, სახალდო თანხის ცოლად... ჩვენთან ცო, ჩვენთან ერთმითერთი მეთოდებით დახე ათვიე და მატერიალს საკომითი მატერია-სტრუქტურა.

ელზაჩარმა პირველად ნახა ატირებული გუ-რანდელი და მეუღლეს ცხრებდა ველა პუ-ტევა, ვისი მუწყებას ცო შეიძლებოდა. აწმ-და შექუხდა, მაღლ ცოლ-ქმარი თითხოხან ბიან-ში გადავიდა საცხოვრებლად. ერთი ეს იყო, კონსულტური ხანმოკლეობით საზოგადო ქონდა.

— მათს დადილ მატერია... გადავიტის გუ-რანდელივან... გადავიტის ერთი სახალდო-მთავარი, რითთაბანი ბინა გვაქვს!

ცოლ-ქმარის ნდერტებას საზღვარი არ ჰქონდა. მათ სიხარულის ელზაჩარის მიუღღმდეგო და-წინაერთება დაიწყო.

საოცარია სწორად, რადგან არ არის ბედნი-ერება ხანგრძლივი.

ბოლო დროს ვერანდები ქმართან ანხ-ლომა და მიზურანდობდა, მართან პირდაპირ-ობას გაუჩხობდა. ერთ სავანის ცო, რაკი იგი-რძინ, რომ მის გულმართობდა ვერ მიმდებარეო ელზაჩარი, გულშემაღლას აჩინა.

— ბეჩა, მე უნდა მეთივითი აუცილებლად ვცვლადერბე, კირიმე. როგორ ფიქრობ, რომ-ედვლე შემშობლია საზოგადო სახარტელეობა ერთხანს დამზადება.

— ვითომ საზოგადო სახარტელეობით დამზა-დებულნი ერთი ფეხებითა—სადედა ვაგუმ-რება ელზაჩარმა.

— არ ამაკივლი ახლა, ელზაჩარი მე მინდა ჩემი სახარტელეობა შემიტინება.

— ვერ ერთი წელსწყვილდ არ არის, რაც ბინა მივცავს და უტრებელთა იხვავ საეთ-ხით ვინმეს შეუძლებს—შეიშურებას ქმარი.

— კაც ვანყოფილებლბის უფროსი ხარ და ვაგომ დროა იზრუნო საუბარი სახუმროს კულუბ კონცერტს შენს ხანში... ერთმითერებ უნდა შეიშობლია საზოგადო და სახა-რტელეობ... შიდა, სისივე ვისაც საჭიროა, გუ-რანდი.

— მე სამახარტელე ვაწერებ ავედა სახუმ-როს მიწყობრებას.

— სამიონტრომი ვანყოფილება გახარია და ამხელ შედეგ დაჯერებლბა, კირიმე, რომ კან-ნები შენთვის აუარესებელაა. სიტყვა აღარ

გამგინო. ელზაჩარ, წყვეა მისს მომადებლ-და ზედმეტი ლამაზი არ შემიბოდი.

ეს დღისი ვერანდები სახლით თავსეყო-ლი დევიდა. მინარად ვლეს ვრისდაც უნი-როს, ელზაჩარს თანხის სახმუნდება მქონდა ვაგინოლად შენის საეთიხან დაეკურთხებიო და შევიდა აქეთ ვეთ... აქეთ ვეთ... ნახს თე-ოთმ დაერტვა. რაგვან დაერტვა და... მინარ-ნაკა მათვე.

კინემატონის ხანი წლისთავი ცოლ-ქმარსა ხანსაბინან კეთილდემკობულ ბინაში ვაგინა-ბდა და სწორად მაშინ, როცა ელზაჩარმა გაი-ფიქრა, ეს არის ბინის საეთიხ მოვავაეყო.

ვერანდები იხვავ აწმედებ... — როგორ ფიქრობ, კირიმე... ვაგუმე ჩვენს სახმუნდება თითხი რომ წყვეს. ხომ არ არის უტრებელი?

— თანხათის ვენაკივლად, ვერ არ წლისა და ვითომ ვერან თანხადა მის საწლი ჩვენს სახმუნდება თითხი—ვაევეინ ელზაჩარს.

— ირი ღრუბა ახლა, მართან თუი წლის შემდეგ იქვადირის იქნება... აქედანვე რომ ვეცდები, ბა... კირიმე, ეს მოვლელბის ვალია.

— ქმარა, უტრებელაა. ზოგი აქმედვ ერთ თანხის იქვლბებმა, ჩვენს ცო... ცვლად ვენე-რა ქმარმა.

— ნუგას წვ მადარებ, კირიმე... შენ თანხან-დებობის პირი ხარ, მე კი პიუხმუნდებო მირ-ისი ცოლად... არ ამაკივლი ახლა ელზაჩარს... ვერანდებიც, ცხრისსიდევა ათვირ თანხადაც და ქვითიხით დაეკლდა—ცოლად შენასაც და თუ თუ არ გქვიადა, რადგან შემიბოდი... ეს არის სიტყვა ვანყოფილ... ამიტრები ველი... ნებავ მე დროს, როგორც უნდადებობანი იყავი ჩვენი კორანტინბის პირველ დღებში... ხელ ვაჭკრა ეს ვეცლადერი, ხაქ?

— ხელ, ნახვარდარდაფის მხვავს თანხის დარს—ხანმოკლეო თყვა ელზაჩარმა.

— ნეთ შენთვის იმ უკეთესი თუ ცხოვერ-ბა... წამოეფერა ვერანდებმა.

— შენ იყავი იმ უკეთესი.

ნანა კანდელიაკი

ნანა კანდელიაკი გააულო ცოლად მანავრს, რომელიც ბალს ჩავიდა, მივიდა მაშთან, მართან ჩართობდა ხელი. შემდეგ მხარდა დაქრა და მხარადლო ლამაზი დეკური. კარინალი ბილის მივარდნილ უსუნეში გავიდა და გულხელდაკრ-ფილას იქვლან დაეწყო მათ ცქარა, იქვლან ხელდადა რუ-განი სიხლოდღენ ისინი ბურჯეკებში, ისიც დინახა, როგორ იქნენდა წმინდა მამა უარის ნინწლად თავს. შემდეგ როგორ მიხალდა დეკური მანავრმა შაპს, სულელი და გამოეშვი-ღებდა.

ქარინალი შაპთან მივირბა:
— თქვენნი უწმინდებობავ, მან ასეთევა, სამი მილიონი უნ-და მავცოთ.
— შეუძლებელი იყო!—კვლავ გაიწინა უარის ნინწლად თავ-ცი წმინდა მამა.
— კი, მართან დუდი?
— მისე პირიხა მიუღებელი იყო!—ამითიხარა შაპმა.
— მინც რას მოთხოვდა?
— რომ ახალი წლიდან მიველი მსოფლიოს კათოლიკურ ეკლესიებში ლიტვის დასახარულს „კამინის“ ნაცვლად „კოკა ულია“ გავცევა!

გერმანულიდან თარგმნა მიკლუა კილეა



— ჩა არის ეს, ჩას დაგინახესხენია ნაჭერი!
— ჩა მოხდა, ქალბატონო, მშვენიერი სახინო პალატო გამოე.



„სინათლე“ „მნათობი“
მეტიერებულს გურუნდ არ გვავიდა ბიანი, სარტულ მუქია, რიცა ვლავ მბინანი. ცავბილ დუნის ცანბოტანს საკათებლიან მთიკვათ. სინათლეს ვწვავთ ვა, თუ არ ვაჭაქვს.—
ბნელში ვბივართ ჭიკთიათ, თან ეს შიმბროლი ინდება გულს მხნოთით ვინდითვეს: ვაინც სიბნელეს არ ნახავს, უასს ვერ დისღებს სინათლეს“
ვ. ხანძაძე

— ახლაც ნინად ვინდა ვაგარანსო?
— ულვაშს დაგროვებ, შე კაცი!

მდე რომ აგბოტისი მავკარობის დროს მავკარმა უნდა ჩაიყვანს სუ-ლის ტანაკიკული. ისეთვე როგორც სახანწარბაქლვლეს აცვიდა. სამი წლის ვანყოფილება მავკარობამ კონსულტრების მიერ მიღების მიუხედავად მავკარმა უნდა დაეფინა, მიხალ-ბუღალა-ურის მიმართულებით აგბოტისის მიღების გაიქვინა გავბის შე-ურბულვლბებამ არ დაეცინა მთიყვანა, რომ მიწოდებ აგბოტისის უ-სი ყულაბების ჩამოკლებასა და ინტვივადურად მიღების შეწყობის საეთიხ. ამ ლინისმთვების დაწერული ვანყოფილ მუშავსად მუ-ცვა სატანსარაგობი კანტრობის.
შიდა—განა ღირს არ არის ეს დინტრეტია სახლი ღფის მა-ვივარე თქვენს ვერანში დაიბვიტოს (დეუბედავად დაცვა აღარ შეიძლება). ვამოხმების თანხრება (ერთი აგბოტისების კანტრობდან, მიერ ტანკული მავკარებლბან) და მიხვდეს მის საჯარი დაცვა, მან, მიხალისი, აგბოტისის.
ში, რა გვეყვან-ვინა ვინა? ამიტრუვა ვიპო შეუადგილობლას სავეგაგელო ნინაცი!

შეიქმნე თავი სიყვარულით

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ჩემი ქალიშვილი ხსოვრობს ვერაზე

პროფესორმა თუხარელმა სამიანი დამიწერა მთავარი უკვე მოხდა. მაგრამ რით აიხსნება ჩემი სიზმრით პროფესორის დაინტერესება, ან ის სიტყვები, რომლებიც თუხარელმა შიხრა გამოსვლის დროს: უჩემოდ არ წახვიდე, შენთან სერიოზული საქმე მაქვსო. რა სერიოზული საქმე უნდა ჰქონდეს პროფესორს თავის სტუდენტთან? მე შენ გეტყვი, ფულს მთხოვს, მასესხე და ჯამაგირს რომ ავიღებ, დაგიბრუნებო.

მე და თუხარელი «ვოლგაში» ჩავჯექით. პროფესორმა სათვალე გაიკეთა და მოტორი ჩართო.

— ჩვენ მივდივართ ლონდასთან. ლონდა ჩემი ქალიშვილია. აქ ცხოვრობს, ვერაზე. უფრო სწორად, ვერაზე მისი მამიდა ცხოვრობს.

— ალბათ, იშვილა მამიდამ, საწყალს საკუთარი არ ეყოლებოდა.

— ჰყავს კი არა, გმირი დედაა, 12 შვილს ზრდის.

— ვერაფერი გავიგე.
— შენ რას გაიგებ, როცა მე გონს ვერ მოვსულვარ ტრაგედიაა პირდაპირ.


ალმართი გათავდა. მანქანამ მარჯვნივ გაუხვია და ხუთსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

პროფესორმა ფანჯრები დაკეტა.

— უპირველეს ყოვლისა, რასაც ახლა გეტყვი, ჩვენს შორის უნდა დარჩეს. მაძლევ ამის სიტყვას? რატომ შეეყოყმანდი, ყმაწვილო, არ შეგიძლია საიდუმლოს შენახვა?

— როგორ არა, მე მხოლოდ გული ამიჩუყდა, ამხელ თანაგრძნობას რომ მიწევთ.

— პირველი კურსიდან გიცნობ. მართალია, ზარმაცობ, მაგრამ გული გაქვს კარგი. სწორედ ამიტომ გაფასებ, დიახ, დიახ, გაფასებ და მიყვარხარ კიდევ.



— მეც ძალიან მიყვარხართ, პატივცემულო პროფესორო! როგორ ავიხსნათ ახლა... აი თქვენს საგანს ყველაზე დიდხანს ვამზადებ. პირობას გაძლევთ, ზაფხულში «მასალათა გამძლეობის» მეტს არაფერს წავიკითხავ.

— კარგი, ნუ აუღლებები. ახლა ყური დამიგდე. შენ ჩემს ლონდას არ იცნობ. სხვანაირად ნუ ჩამომართმევ და ძალიან ორიგინალურია. რასაც მე და ჩემი მეუღლე დავაპირებთ, ლონდა იმის საწინააღმდეგოს აკეთებს. ზარმან ზღვაზე ვიყავით, მან ლენინგრადში წასვლა აიჩივებ და თავისი გაიტანა, წელს ჩვენ გადავწყვიტეთ ლენინგრადში წასვლა, ლონდამ ზღვის ნახვა ისურვა.

— თუ ისურვა. გაუშვიტ, რაა ამაში ცული?


— შენ არ ყოფილხარ მამა, რადგან არ გყოლია შვილი, ესე იგი უპირველესად—არ გყოლია ცოლი, ამიტომ ვერაფერს გაიგებ. ჩემს გულში ჩაიხედე, რა ცეცხლი ტრიალებს. ერთი კვირაა ლონდა სახლიდან წავიდა. მამიდასთან ცხოვრობს ვერაზე. სანამ ზღვაზე არ გამიშვებ, სახლში არ დავბრუნდებიო.

— კარგი, ეს გასაგებია. ახლა რას აპირებთ?
— ჯერ მომისმინე. წუხელ მე ვნახე სიზმარი.
— უკაცრავად, წუხელ სიზმარი ვნახე მე.

— არ უარყოფო, მაგრამ სიზმარი მეც ვნახე. ჩემმა მეუღლემაც ნახა. რაც ლონდა წავიდა, სულ სიზმრებში ვართ. სულ ზოგა და ზღვა! მე ჯალათივით ვდგავარ და ხალხს წყალში ვაგდებ. რაც არის, არის! გადავწყვიტე, გავუშვა. «მერცხალში» მიდის. ძალიან გამხარდა, რომ შენც იქ იქნები. მართალია, დირექტორს ვიცნობ მაგრამ შენ მაინც სხვა ხარ, თვალყურს ადევნებ. დიდად დამავალებ, იცოდე.

— გაძლევთ სიტყვას, თქვენს თხოვნას შევასრულებ. ამჟამად რა გქნა!

— ახვალ ამ სახლის მესამე სართულზე. მარჯვნივ, დერეფნის დასაწყისში ჩემი დის ბინაა. მონახავ ლონდას და ეტყვი, რომ თანახმა ვარ წავიდეს ზღვაზე. ესეც უთხარი, სახლში მოვიდეს, დედა მაინც შეიბრალოს.



კარები საშუალო ტანის სიმბათიურმა ქალმა გამოიღო, რომელსაც კაბის კალთაზე ნაძვისხის სათამაშოებზე ჩამოკიდებოდნენ ბავშვები, ყველაზე პატარა დედას ხელში ეჭირა.

— უკაცრავად, თქვენ ბრძანდებით პროფესორ თუხარელის და?

— დიახ,—გულგრილად ჩაილაპარაკა ქალმა.

— თუ არ ვცდები, თქვენ გყავთ თორმეტი შვილი.

— დიახ,—ხმას აუწია პროფესორის დამ.

— მაშასადამე, ლონდა არის თქვენი ძმისშვილი და თქვენ ხართ მისი მამიდა.

— ძალიან საინტერესოა, თქვენ ვინ იქნებით?

— მე ვინ ვარ და... მე ლონდას ნახვა მინდა.

— ასე გეთქვათ. ლონდას ნაცნობი ყოფილხართ.

— საქმე იმაშია, რომ მე ლონდას სრულებით არ ვიცნობ.

— ??

— ახლავე ავიხსნით. ლონდას იცნობს მამამისი, პროფესორი თუხარელი. პროფესორ თუხარელს ვიცნობ მე. მე ვარ...

— თქვენ ავად ხართ.

— საესებით შესაძლებელია. გამოცდიდან მოვდივარ...

შეშინებულმა ქალმა ჩვილი მკერდში ჩაიკრა. ბავშვები ოთახში გაიქცნენ.

— დამშვიდდით, ქალბატონო, მე მხოლოდ...

— აგერ ლონდა და ელაპარაკეთ.

— მამიდა, რას ჩავაცვიდა ეს ტიპი!

— ტიპი კი არა, მე სიმონი ვარ.

— დიდი ამბავი! მისამართი ხომ არ შეგშლიათ?

— მისამართი არ შეგშლია. მე მოვედი, რომ

მამათქვენის, პროფესორ თუხარელის დანაბარები გადმოგცეთ: თქვენ გექნებათ ფული.

— ნაკანეც!

— თქვენ დაიწვევით და გაშვებდით.

— ვრიად ლი! მზე არ მეკიდება.

— თქვენ წახვალთ ზღვაზე.

— აუცილებლად.

— თქვენი მშობლები წავლენ ლენინგრადში.
— ტუდა იმ დაროგა.
— მე წავალ მამათქვენთან, რომელიც დაბლა მიცდის. რა გაღატაკე?
— ონ დობრი სტაროც.
— მეტი არაფერი?
— დანარჩენს სახლში ვეტყვი.
— აბა კარგად იყავით.
— ნახვამდის, სიმონ!

ნაკილი მამაკაცს ნიშობით

«კაი გამარჯობა, მამაჩემო სევასტი! რავა ხარ, რა? იმედია ქე იქნები კაყვით. მუშაობ კოლექტივში და აკეთებ შრომადღეებს! გული არ გაგტიყდეს, არც მე ვარ ტყვილა ამ თბილისში.»

ჩვენს დროში საინჟინროზე სწავლა ადვილი არაა. მაგი კარგად იცი შენ. იგივე გეცოდინება, გამოცდები გვქონდა და დავხვდი ყოჩაღად. ორიანი არ მიმიღია, მეოთხე კურსზე გადავედი. თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა, ორ წელიწადში დიპლომი მექნება ჯიბეში. აი სწორედ იმფერი, ბერძენების გოგო რომ გათხოვდა და, მზითვად რომ გაატანეს ქორწილში. შენ ძაან გინდოდა იმ დიპლომის ნახვა, მარა ხელში არ მოგცეს, დაისვრებო. აი, მე რომ ჩამოგიტან, დავგვათ ბუხრის თავზე და უყურე რამდენიც გინდა!

ახლა კოლექტივის საქმეები რავა მიდის. შრომადღეზე სამი თუმანი დაარბიგესო, რომ მოიწერე, ძაან გამიხარდა. ალბათ მეც მომიმატებ ფულს. რა გული მოგიკვდა, შე კაცო, კი მიგზავნი, მარა არ მყოფნის და რა გქნა ახლა? თბილისია, ყველგან ფული გინდა. ნუ დავაგვიწყებდა, გამოცდები გვქონდა და გაძლიერებულ კვებაზე ვიყავი გადასული. გამიჭირდა, მარა გოუძეღე. დასუსტებით კი ძაან დავსუსტდი. ექიმებმა მითხრეს, საპაეროდ გინდა წასვლაო. არა, ბახმარო არ გამოდგება. ზღვა თუ მიშველის.

მიხვდი ხომ ფული რომ მჭირდება? შენი ჩვილი გულის ამბავი რომ ვიცი, რალაც ორ კაბიკს არ დამიკაგებ. ჯერჯერობით დამჭირდება ასე, ათასი მანეთი. დანარჩენზე შემდეგ მოგწერ. ავანსი თუ არ დაურიგებიათ, ივანეს დაესესხე, მაინც უღაპება მუთაქაში. გამოართვი და დეპეშით გამომიგზავნე საჩქაროდ.

ზღვაზე ჩემთან ერთად მოდიან ჩემი კაი ამხანაგები თენგიზი და ნიკო. მაგენს ქე იცნობ შენ ზღვაზე იქნება აგრეთვე ჩვენი პროფესორის გოგო. გათხოვილი არაა, მაგრამ ქმარი თუ უნდა, მაგდენი აღარ ვიცი.

ხომ ხედავ, მამაჩემო, რა ხალხში აქვს შენ შვილს საქმე. მართალია, მაქ არ მაფასებს ზოგიერთი, მაგრამ რომ ჩამოვალ, ყველას გაუფსწორებ ანგარიშს.

ახლა, აგი წერილი რომ წავიკითხო, მაშინვე ადექი ზედ და ფულზე დატრიალდი.

ახლა მოკითხვა ყველას. მოგიკითხა ყველამ.

გწერს შენი შვილი **სიმონა**

ამ წერილს რომ ვაგზავნი, 25 რიცხვია, 27-ში ფული აქ უნდა იყოს».

(გაგრძელება იქნება)

ა. სახსონია

ნათყვერ

ანონისკა

— ვისი ნახელავია ეს ანონიმური წერილი, თუ კაცი ხარ, გამოგე უთხრა ერთ დღეს მმართველმა ერთ-ერთ თანამშრომელს. — შესანიშნავი აზრებია გატარებული... ნამდვილი ობიექტური კრიტიკა...

— მე დაეწერე, ბატონო, — გამოტყდა მმართველის სიტყვებით გამხნეებული თანამშრომელი, — მხოლოდ სახელის მოწერა დამავიწყდა.

— ძლივს არ მივაგენი! — წამოიძახა მმართველმა, — მე გიჩვენებ, როგორ უნდა ანონიმების წერა!

უბის წიგნაკიდან

— : —

ყოფილი ვაჭრის ქალიშვილი მოულოდნელად ფილოსოფოსს მისთხოვდა.

— რამ მოგხიბლა? — შეეკითხნენ შინაურები.

— სულ უცხო მატერიებზე მელაპარაკებოდა, — თქვა მან.

— : —

ერთი კაცი ზღვაში იხრჩობოდა და ღმერთს შევლას თხოვდა.

— ხელი გაანძრიე და გეშველება! — ჩაესმა ხმა.

ეს არ იყო ღმერთი. ეს იყო მხარეთმცოდნე წამოწოლილი „სპასატელი“.

— : —

ახალგაზრდა მოქანდაკეთა გამოფენაზე ერთი ქანდაკება ყველაზე მეტად იზიდავდა მნახველებს. ავტორს იგი მაგნიტისაგან გაეკეთებინა.

— : —

ლექსების კრებული აწყობილი იყო. ავტორი სათაურისთვის იტყებდა თავს.

— ერთ-ერთი ლექსის სათაური იხმარეთ! — ურჩია წიგნის რედაქტორმა.

ყველა ლექსი უსათაურო იყო...

— : —

ერთ შეყრილობაში კინოფილმ „დარიკოზე“ ჩამოვარდა ლაპარაკი.

— დარიკოს ქმარი პროფესორია! — განაცხადა ერთმა.

— რაფა, გაცილდა სიმონას? — იკითხა დიასახლისმა.

— : —

მასწავლებელი დედამიწის მიზიდულობაზე ლაპარაკობდა.

— დამისახელე კონკრეტული მაგალითი! — მიმართა მან ერთ-ერთ მოწაფეს.

— ბოლოს ყველა მიწაში ჩადის! — იყო პასუხი.

ჰარი ჰარალიშვილი

საფუძვლიანი მიზეზი

— შენ ყოველთვის კრიტიკული სიტყვით გამოდიხარ კრებებზე, ახლა რატომ არაფერი თქვი ჩვენი განყოფილების გამგის ცუდი მუშაობის შესახებ? — ჰკითხეს ერთ კაცს ადგილკომში კრების დამთავრების შემდეგ.

— რა ვქნა, — თქვა მან, — შარშან რომ გავაკრიტიკე, მოადგილეობიდან გამგედ დააწინაურეს. ახლაც რამე რომ მეთქვა, იქნება მმართველად გადაყვანათ და ხელი რად შევეშყყო!

ა. ბასილია

უკანგული იუმორი

იუველირთა

ხანში შესული ბატონი — (აღშუოთებით) გასული თვის დასაწყისში თქვენთან ვიყიდე ერთი დუჟინი კოვზი ოქროთი დაფერილი და თანაც შემპირდით, რომ ისინი სამსახურს გამიწვევენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მაგრამ ხედავთ?! მთელი ვარაყი გადასცილდა.

იუველირი — მაპატიეთ, ბატონო, ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ასე დიდხანს იცოცხლებდით.

ოჯახური სიხვარული

ქალიშვილი — დედა, დედა! კარებზე ვილაც აკაკუნებს. ეს კაპიტანი ჟიულენი უნდა იყოს, იგი ცოლობას მთხოვს...

დედა — მერედა რა მოხდა, გენაცვალოს დედა, უნდა მიიღო მისი წინადადება.

ქალიშვილი — დედიკო, მე კი მეგონა, რომ შენ იგი არ გიყვარს, და რომ მას ვერ იტან.

დედა — რასაკვირველია, ეჭვი ხომ არ გეპარება იმაში, რომ მას ვერ ვიტან! ჰოდა, სწორედ იმიტომ მიინდა გავხედე მისი სიდედრი.

ფრანგულიდან თარგმნა თ. უპრცხვანიძემ

ნან. გ. ფირცხალავასი



— არ გაინძრეთ, ვიღებ!

რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 2-13-29.

გამომც. № 24. ხელმოწ. დასაბ. 7/XII-1958 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვკვ. № 1301. უფ 07840. ტირ. 40.000.



ნახ. ჯ. ლოლუასი

— გაიგე, ამიერიდან ბავშვებმა სწავლასთან ერთად დაზგასთან მუშაობა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების ხმარება უნდა ისწავლონო.

— ის არ მეუფოდა, მაგის მაგივრად ამოცანებს რომ ვცევანი, ახლა ქარხანაში და მინდორში უნდა დავიწყო მუშაობა?!